

მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი



მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:

მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

მიზანი: პროგრამის მიზანია, სტუდენტს შეასწავლოს მძიმე ტექნიკის მართვა-ექსპლუატაცია, სამუშაოების წარმოება ჰიდრავლიკური ექსკავატორით, ავტოგრეიდერთა და სხვადასხვა ტიპის სატვირთველით, კერძოდ, მიწის ამოთხრა, მკვრივი ზედაპირის გარღვევა, არხების გაჭრა, ამოწმენდა, ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულება, გზის საფარის გასუფთავება, მოსწორება, დატკეპნა და სხვადასხვა დანიშნულების მასალის გადაადგილება სამუშაო მოედანზე.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- სამუშაო ადგილის ორგანიზება
- სამუშაოების წარმოება ჰიდრავლიკური ექსკავატორით
- მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) შემოწმება
- სამუშაოს წარმოება ავტოგრეიდერთა
- შრომის უსაფრთხოება მძიმე ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) მართვისას

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელ პირს შეუძლია, დასაქმდეს სამშენებლო - სარემონტო კომპანიებში, სამრეწველო ობიექტებზე, ინდივიდუალურ მშენებლობებზე, სამელიორაციო კომპანიაში, საგზაო მშენებლობასა და სამაშველო სამსახურში.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა:** 76 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 13 სასწავლო თვე

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

1. შპს. ანაგი
2. შპს. შარაგზა მშენი პირველი
3. შპს. ორბი გრუფი
4. შპს. გზა
5. შპს. MTS
6. ი/მ ომარ ბერიძე